1890 წელსა, № 18 30 სექტემბერს.

# მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

შინაარსი: სურამის გვირაბის კურთხევა. «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია შორაპნიდგან.—მწარე ფიქრები.—წერილი რედაქტორთან.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მრავალ წამებული იობი.

## სურამის გვირაბის კურთხევა.

16 სექტემბერს, დღით კვირას, აკურთხეს სურამის გვირაბი. გვირაბის კურთხევას დაესწრო გზათა მინისტრი სტატს-სეკრეტარი ა. ი. ფონ-გიბბენეტი, კავკასიის მთავარ-მმართებელი, გენერალ-ადიუტანტი ს. ა შერემეტევი, მთავარ-მმართებლის რჩევის წევრნი, კავკასიის გზათა გამგე ბ. სტატკოვსკი, თავსმჯდომარე ტფილისის სამოსამართლო პალატისა დ. ს. ს. ს. ს. გონჩაროვი, ტფილისის გუბერნატორი თავადი შერვაშიძე, უმთავრესი კონტროლერი რკინის გზისა ა. ა. ქელებუმსკი, კადეტის კორპუსის დირექტორი გენერალ-მაიორი ნ. ი. ოსტროგორსკი, თბილისის და ბაქოს ქალაქის თავები, გვირაბის მშენებელნი: დ. ს. ს. რიდძევსკი და სხვანი მრავალნი წარჩინებულნი პირნი. გვირაბის საკურთხებლად მოწვეული იყო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელმაც 1872 წელში აკურთხა ფოთი-ტფილისის რკინის გზა. ყოვლად სამღვდელო გაბრიელი და სხვა პატივსაცემი სტუმრები გამოვიდნენ ქუთაისიდგან დილის შვიდ საათზე საგანგებო მატარებლით, ხოლო 11 საათზე მოვიდნენ წიფის რკინის გზის ახალს სადგურზე. ყოვლად სამღვდელოს ახლდენ დეკანოზები გ. ცაგარეიშვილი და ღამბაშიძე და მგალობლები. წიფის სადგურთან იდგა მოძრავი ეკკლესია რკინის გზისა. ყოვლად სამღვდელო შებრძანდა ეკკლესიაში; მისი შებრძანებისათანავე დაიწყო წირვა; წირვაზე გალობდენ მღვდელ-მთავრის მგალობლები. წირვის გათავებამდის თბილისიდგან მოვიდნენ ყველა საპატიო პირნი, რომელნიც მოპატიჟებულნი იყვნენ. წირვის გათავების შემდეგ ყოვლად სამღვდელო სამღვდელოებითურთ შემოსილნი და მგალობლები წავიდნენ რკინის გზის სადგურის პლატფორმისკენ, სადაც ყოველივე მომზადებული იყო სამადლობელო პარაკლისის შესასრულებლად. ყოვლად სამღვდელო გაბრიელი ავიდა კათედრაზე და წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„ჩვენი წმიდა ეკკლესიის ჩვეულებისა მებრ ყოველი სასარგებლო საქმე, თითოეული სასარგებლო ნაბიჯი კერძო პირთა იწყება ლოცვით. მით უმეტეს საჭიროა ღვთის ვედრება და ლოცვა იმისთანა საქმის დაწყების და გათავების დროს, რომელიც სასარგებლოა მთელი სახელმწიფოსათვის. ესეთია სურამის გვირაბი, რომელიც დღეს უნდა ვაკურთხოთ. ამ საქმემ მოითხოვა დიდი ხარჯი და შრომა ხელოვნებისა და ცოდნისა. ამიტომ საჭიროა მადლობა შევსწიროთ უფალს ამისთანა საჭირო და სასარგებლო საქმის წარმატებით შესრულებისათვის.

მადლობა ღმერთს! კავკასია თან-და-თან უკეთესდება. კავკასიის მთების გულში დაფარული სა-

უკვე ნელ-ნელა ჩნდება. ამიერ-კავკასიის მკვიდრთა ცხოვრება ფართოვდება, მათი გამბედაობა ძლიერდება. ნავთი, მარგანეცი, ქვის ნახშირი და მრავალი სხვა მიწის სიმდიდრე დიდ ძალ სიმდიდრეს აძლევს რამოდენიმე ათას კაცს. მაგრამ ყოველივე ამ სიმდიდრეს ფასსა სდებს ერთად ერთი რკინის გზა. უიმისოდ ამ სიმდიდრის წაღებ-წამოღება შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამით აიხსნება დიდი მნიშვნელობა რკინის გზებისა. მაგრამ რკინის გზები ხან-დის-ხან შეიქმნებიან ხოლმე ორ-პირ მახვილად: რკინის გზებზე მრავალი ათასი კაცი ჰკვდება საშიშარი სიკვდილით. აი ამიტომაც რკინის გზის გამგეობა და მასზე სამსახური ძალიან პასუხის საგებია. ცოტა ოდენს დაუდევნელობას, შეცდომას ანუ დაგვიანებას, სულ უკანასკნელი მოსამსახურისასაც კი, მაგალითად, რკინის გზაზედ ისრის მომმართველისას, შეუძლია გამოიწვიოს საშინელი უბედურება. ამიტომ რკინის გზაზე მოსამსახურე პირნი დიდის ყურადღებით უნდა აღსრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. საზოგადოდ უნდა ვისურვოთ და ვსთხოვოთ ღმერთსა, რომ კავკასიის ამ გარეგან განკარგებასა და ამ გარეგან ცივილიზაციასთან ერთად ამაღლებულიყოს ქრისტიანული ზნეობაც, რათა უარგისნი და უსაქმო პირნი, რომელთა რიცხვი დღით-დღე მატულობს ჩვენში, ხელს არ უშლიდენ მშრომელ ხალხს, რათა კანონთა აღმასრულებელნი მხნედ და სიმ…კილით იცავდენ მართლმსაჯულებას".

სიტყვის გათავების შემდეგ ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა შეასრულა სამადლობელი პარაკლისი. პარაკლის ს გათავე ის შემდეგ წარმოთქმულ იქმნა მრავალ-ჟამიერობა ხელმწიფე იმპერა-ორისა, ხელმწიფა იმპერატრიცისა, მემ ვიდრე ცესარევიჩისა და მთელი სამეფო სახლეულობისა. ყოვლად სამღვდელომ ასხურა აიაზმით სადგური და რკინის ლიანდ გი შემდეგ ყველა მიწვეულნი პირნი ჩასხდენ ვაგონებში. უკანა სალონნის ვაგონის ბაქანზე იდგნენ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი სამღვდელოებითურთ შემოსილნი, გზათა მინისტრი, მთავარ-მმართებელი და სხვანი წარჩინებულნი პირნი. ორთქლით მატარებელი დაიძრა. მგალობლებმა დაიწყეს საგალობელი «უფალო, აცხოვნე ერი შენი». როცა ორთქლით მატარებელი მიუახლოვდა გვირაბს, აქ შესრულებულ იქმნა მცირე ლოცვა. ლოცვის გათავების შემდეგ გზათა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა. რომელშიაც მოიხსენა გვირა ის აღშენების ისტორია, მასთან გამოაცხადა, რომ მას მინდობილი ჰქონდა გვირაბის დათვალიერება და მისი დახედვის დროს იგი დარწმუნდა, რომ ყოველივე კარგად და მედგრად არის გაკეთებული და ამიტომ დღეიდგან, სამადლობელი პარაკლისის გათავების შემდეგ, იგი ხსნის გვირაბს როგორც მოგზაურთა ისე საქონლის მატარებელთა სავლელად, შემდეგ მინისტრმა გადასცა გვირაბის ამშენებელს უ. დ. ს. ს. რიდ…ევსკის სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენი. ამის შემდეგ მგალობლებმა ხელახლად დაიწყეს გალობა „უფალო, აცხოვნე ერი შენი». მატარებელი გაემგზავრა გვირაბში, რომელიც საუცხოვოდ იყო გაჩირაღდნებული და ბაირაღებით მორთული. თორმეტი წამის შემდეგ მატარებელმა გაიარა გვირაბი და მივიდა ბელლეთის რკინის გზის სადგურზე. აქ გაკეთებული იყო მშვენიერი კარვები საპატიო სტუმრებისათვის. საუზმე იყო მომზადებული 2,0 კაცისათვის. მუშებისათვის კი იქვე მინდორზე იყო გაშლილი სუფრა. ყველამ თავ თავის ადგილი დაიკავა და დაიწყეს საუზმის ჭამა. პირველად მინისტრმა აიღო ხელში სტაქანი, აღლევრძელა ხელმწიფე იმპერატორი და წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„საყვარელის ხელმწიფისა და მთელი სამეფო სახლობის სადღეგრძელოდ გულ მხურვალე ლოცვისა და აგრეთვე ახლად გაყვანილი გვირაბის კურთხევის შემდეგ შეკრებილნი ვართ ამ მცირე სერობაზედ თვით გვირაბის შესავალთან: გულ წრფელად ემადლობ ყველას, ვინც კი ინება და ჩვენს დღესასწაულს დაესწრო. სურამის გვირაბი ყველაზე გრძელი გვირაბია მთელს რუსეთში, სიგრძით 3 ვერსი და 376 საჟენი და საოცარ შენობად ჩაითვლება, არამც თუ რუსეთში, ევროპაშიაც კი. ამ გვირაბის დამთავრების საქმე მეტად ძნელი იყო, რადგან ამაფეთქებელი გაზები და ფხვიერი მიწა ბევრი ხვდებოდათ გზად მუშებს. არას ვიტყვი ამ გვირაბის ეკონომიურ მნიშვნელობის შესახებ, რადგან ყველა აქ მყოფს კარგად მოეხსენება, რომ ამ ახალის შენობის წყალობით ამიერ-კავკასიის რკინის გზას უფრო ბევრის საქონლის გადატან-გადმოტანა შეეძლება და ამით ამ მხარეს ბევრს სარგებლობას მოუტანს. ეს სიკეთე გვიწყალობა სურვილისამებრ ჩვენმა საყვარელმა ხელმწიფემ, რომელმაც თავისის უავგუსტოეს სახლობითურთ აქ ყოფნით გააბედნიერა ეს მხარე ამ ორის წლის წინად".

შემდეგ წარმოითქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცასი, მემკვიდრე ცესარევიჩისა და სამეფო სახლობისა. ამ სადღეგრძელოს მოჰყვა აღტაცებული „ურას" ძახილი.

შემდეგ დაილია სადღეგრძელოები ყოვლად სამღვდელო გაბრიელის, მინისტრის, მთავარ-მმართებლის და სხვა საპატიო პირთა. საათის ხუთზედ მთავარ-მმართებელი საგანგებო მატარებლით დაბრუნდა უკანვე თბილისს. გზათა მინისტრი გაემგზავრა ბათუმს და სხვანიც წავიდ-წამოვიდნენ.

## «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია

### შორაპნის მაზრიდამ.

ამა სექტემბრის თთვის 20 სოფლის კლდეეთის წმიდის გიორგის ეკკლესიასთან გაიხსნა ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა. შორაპნის საბლაღოჩინო მაზრაში ეს მეათე სამრევლო სკოლა არის დღეს გახსნილი. ხსენებული ეკკლესიის მღვდლად ამა წლის დამდეგს დაინიშნა მ. ი. ყიფშიძე, სემინარიაში კურს დამთავრებული. მ. ყიფშიძემ თავის ახალს სამრევლოში მისვლისათანავე განიზრახა სამრევლო სკოლის გახსნა, მაგრამ დღემდე თავისი აზრი ვერ განახორციელა, რადგან შეძლება არა ჰქონდა. დღეს მან თავისი სიმამრის მთავარ-დიაკვნის პ. ნინიკაშვილის დახმარებით და შემწეობით ეკკლესიის მახლობლად აღაშენა სკოლისათვის ხის შენობა. სკოლის შენობას სიგრძე აქვს ათი არშინი, სიგანე ცხრა და სიმაღლე ოთხი არშინი. სკოლის ოთახი ამ დღისათვის შესაფერად იყო მოწყობილი საჭირო ნივთებით.

დანიშნულს დღეს მოვიდა სკოლის კურთხევაზე დასასწრებლად შორაპნის საეპარქიო სკოლების რჩევის განყოფილების თავმჯდომარე დეკ. დ. ღამბაშიძე, ბლაღოჩინი ამავე საბლაღოჩინო მაზრისა. სკოლის მთელი შენობა სავსე იყო პატარა ყმაწვილებით. გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი, შემდეგ მოასხურეს სკოლა. პარაკლისის გარდახდის დროს გალობდენ პატარა ყმაწვილები, რომელთათვის მ. ყიფშიძეს ესწავლებია ზოგიერთი საგალობლების გალობა. პარაკლისის გათავების შემდეგ დეკ. ღამბაშიძემ განუმარტა პატარა ყმაწვილებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, რომ კარგად ისწავლონ. შემდეგ გამოჰკითხა მოწაფეებს, აქვსთ თუ არა მათ გულის პატარა ჯვრები. აღმოჩნდა, რომ 60 მოწაფეში ერთის მეტს არა ჰქონდა ჯვარი. მ. ღამბაშიძემ ჰკითხა, სხვათა შორის, ყმაწვილებს: სოფლებში პატარა ხბორებს და კვიცებს კისერზე რას შეაბმენ ხოლმე?

— ხბორებს და პატარა კვიცებს ჰკიდებენ კისერზე მწარე ბლის ხისაგან გაკეთებულ ჯვარის მსგავს პატარა ჯოხებს, მიუგეს მათ.

— იცით თქვენ, თუ რად ჰკიდებენ ამ ჯოხებს საქონელს?

— ამ ჯოხებს ჰკიდებენ, რომ საქონელს ავის თვალი არ ეცეს, მიუგეს მოწაფეებმა.

— პირუტყვებისათვის საჭირო არ არის ეს ჯოხები, მაგრამ თქვენთვის კი აუცილებლად საჭიროა, რომ თითოეულს თქვენგანს გულზე ეკიდოს პატარა ჯვარი.

ამის შემდეგ მ. ღამბაშიძემ დაურიგა მოწაფეებს პატარა ჯვრები.

დღეს სკოლაში არის მიღებული 60 მოწაფე და მასთან მთხოვნელებიც ბევრია. თითოეული მოწაფე სწავლის უფლებისათვის იხდის წელიწადში ხუთ მანეთს. ამ სკოლაში მასწავლებლებად არიან ადგილობითი მღვდელი მ. ყიფშიძე და კ. თუთბერიძე, რომელიც სემინარიის მესამე კლასიდამ არის გამოსული.

მღვდელს მ. ყიფშიძეს ჰსურს წიგნთსაცავის გამართვა. ამ საქმეში დახმარება აღუთქვა მას დეკანოზმა ღამბაშიძემ, რომელმაც ამავე დღეს შესწირა სკოლას რამოდენიმე წიგნი და თორმეტი საუფლო დღესასწაულის სურათები. თითოეულს მოწაფეს დაურიგა უფასოდ საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო წიგნი. მთელი სამრევლო მოხარულია, რომ მათ დაენიშნათ ასეთი მზრუნველი და პატიოსანი მოძღვარი.

ასე წყნარად გაიხსნა ეს სკოლა. აქ არ ყოფილა ის უბრალო და უმნიშვნელო შესხმები, სადღეგრძელოები და მისალოცი წერილების გაგზავნ-გამოგზავნა, როგორსაც ხშირად ვხე-

დავთ. რამოდენად სასიხარულოა და სანატრელია სკოლების გახსნა, იმოდენად საძაგელია და საზიზღარი ამ სკოლების გახსნის დროს ზოგიერთების ფარისევლური საქციელი. ზოგიერთ გაზეთებს მასალა არა აქვსთ და ამიტომ, რაც უნდა მისცეთ, ყოველივეს ბეჭდვენ. ორი კვირით ადრე დაიწყებენ წერას, რომ ამა და ამ ადგილს სკოლას ხსნის ესე და ეს პირიო. ზოგიერთები ფულებსაც კი აძლევენ რედაქციებს განცხადების დასაბეჭდად!... დანიშნულ დღეს, უთუოდ კვირას, ან დღესასწაულ დღეს, წირვის შემდეგ, ეკკლესიაში, ანუ სკოლის შენობაში, დაიწყება ერთი გაუთავებელი სიტყვების რახა-რუხი. ერთი აქებს მეორეს დაეუბნება, რომ შენისთანა კაცი მეორე არ არის ჩვენს იმპერიაშიო. ერთი სიტყვით ჩვენი ხალხის განათლება და ბედნიერება შენზეა დამოკიდებულიო. ამის პასუხად მეორე უპასუხებს პირველს: «მართალია, მე სწორედ მაგისთანა ვარ, მაგრამ შენც დიდი ვინმე ბრძანდები და შენ რომ არ მომხმარებოდი, მარტო მე ვერას გავაკეთებდიო. შემდეგ გამოდგება მასწავლებელი და ერთი ჭაპანწყვეტით ამტკიცებს, რომ სწავლა ძალიან სასარგებლოა და ამიტომ პატარა ყმაწვილებს უსათუოდ უნდა ვასწავლოთო. შემდეგ პატარა ყმაწვილებს, რომელთაც ამ «რეჩების» დროს ძილი მოსდიოდათ, რადგან მათ არასფერი ესმოდათ, სახლში გაუშვებენ და შემდეგ იმართება სადილი. ეხლა სადღეგრძელოები მოაბეზრებს კაცს თავს; ამასაც არ კმარობენ, წერილებს აგზავნიან იქით-აქეთ, შეიტყუეთ, რომ ამისთანა საქმე ჩავიდინეთო.

იმედია, რომ შემდეგში მაინც ბოლო მოეღება ამისთანა ფარისევლობას და ცუდს საქციელს და უბრალო სიტყვების რახა-რუხის მაგიერ საქმის გაკეთებას მიჰყოფენ ხელს. უმჯობესი იქმნება, რომ სადილების ფასი სკოლას მოახმარონ და თითოეულმა თავისი კეთილი სურვილი და ქველ-მოქმედება სკოლის შესახებ ფაქტებით დაასაბუთოს.

დამსწრე.

## მწარე ფიქრები.

ერთხელ ბატონი ილია ჭავჭავაძე და განსვენებული სერგეი მესხი სასამართლოს წინ იყვნენ წამდგარნი, როგორც პასუხის მგებელნი ბეჭდვითი სიტყვით ცილის წამებისათვის გაზეთს „დროებაში“. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, ვინც კი თვალყურს ადევნებს ჩვენს ლიტერატურას, რომ ერთ დროს ჟურნალი «ივერია» და «დროება» დაძმობილდენ და ამ ორივე გამოცემათა რედაქტორებათ ბრძანდებოდნენ ზემოხსენებულნი პირნი. ერთი უხამსი და ცილის წამებით სავსე კორრესპონდენცია იყო „დროება“-ში დაბეჭდილი, და მან, ვისაც ეს კორრესპონდენცია ეხებოდა, თავი გამოიდვა და ორივე რედაქტორს უჩივლა სასამართლოში. სასამართლომ დაიბარა რედაქტორები როგორც დამნაშავენი და როდესაც მსაჯულმა მათ ჰკითხა: იცნობთ თუ არა თქვენს თავს დამნაშავედ, ბ. ილიამ მოახსენა მსაჯულს: «მე სრულებით არა ვიცი რა ამ საქმისა; მართალია, ჩემი სახელი არის მოწერილი გაზეთ «დროების» ბოლოს როგორც რედაქტორისა, მაგრამ მე არასოდეს არ განმიხილავს ის კორრესპონდენციები, რომელნიც «დროება»-ში იბეჭდებიან. მე მარტო ჟურნალ «ივერიის» საქმეს განვაგებ და «დროება» ჩემი ამხანაგის ს. მესხის გამგეობის ხელშია და იმას მოსთხოვეთ პასუხიც». როგორც გარდასწყვიტა სასამართლომ ეს საქმე, მკითხველ საზოგადოებას ალბად ეხსომება...

ყველას გვეგონა, რომ ყოველივე, რაც კი ბ-ნ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობის დროს იბეჭდებოდა «დროებაში», მისგან გადახედული და ნება დართული იყო. თურმე ნუ იტყვით, ბ. ილიას არც ერთი სტატია გაზეთ დროებისა არ გადუხედავს და გაზეთის ბოლოში კი დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი: «რედაქტორები. ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი»... თურმე მარტო სახელი იბეჭდებოდა გაზეთის ბოლოს, თორემ გაზეთის საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა იგი. ამიტომაც ერთი წლის შემდეგ ისევე გაიყარნენ ეს რედაქტორები და თავიანთ გამოცემას მოჰკიდეს ხელი.

დღეს ჩვენი დარბაისელი და შორსგამჭვრეტი პუბლიცისტების შრომის წყალობით და მოხერხებით

ერთი და ქართული საერო გაზეთი «ივერია» შეგვრჩენია ხელში, რომლის რედაქტორად, გამომცემლად, პატრონად და ყველაფრად ბ. ილიაა. ყველანი ვფიქრობთ, რომ, რაც კი რამე იბეჭდება «ივერია»-ში, ნახევრობით სულ ილიას დაწერილია და სხვისი დაწერილებიც თვალ გადავლებული და ნება დართულია მისგანვე. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს ასე არ ყოფილა...

აგერ წინაზედ საუკუნოდ განსვენებულს «თეატრში» ერთმა პირმა ღია წერილი დაბეჭდა, რომელიც მიმართული იყო პირ-და-პირ «ივერიის» რედაქტორისადმი. „ივერიის" სტატია, რომელიც ამ პირს ეხებოდა, სწორედ ისე იყო დაწერილი, რომ გვგონებოდათ თვითონ რედაქტორის დაწერილიაო. ამ პირმაც მოსჭიმა შვილდ-ისარი და სტყორცნა! ელიან მოუთმენლად «ივერიის» რედაქტორის ხმას, მაგრამ ნამდვილი რედაქტორის მაგიერ გამოხოხორიკდა ვიღაცა «დუშიკოა» თუ «Z» და შემოსძახა: «მე გახლავარ ამ განყოფილების რედაქტორიო. თქვენ ჩემთან გაქვს საქმე და არა ილიასთანაო. ჩვენ დაყოფილი გვაქვს «ივერია» და ჩვენ სვრელებში რედაქტორიც ჩვენ ვართ, გამგებელიც, პატრონიც, ბატონიც და რაც გინდათ"... წადით და პასუხი მოთხოვეთ თქვენ ეხლა «ივერიის» რედაქტორს!!!

*
* *

ამას წინედ ორიოდე პირის ცუდ საქციელზედ „მწყემსმა" რამოდენიმე სიტყვა გამოთქვა, არა მტერობით, არა სხვა რაიმე განზრახვით, არამედ «მწყემსს» მხოლოდ ის ჰქონდა სახეში, რომ მოზარდი თაობა დაეფარა ზოგიერთი ცუდი ზნის კაცების დამღუპველი გავლენისაგან. ეცადეთ თქვენ, რომ როგორმე ცუდი საქციელი გამოაშკარაოთ კაცისა; სახელი და გვარი ამ კაცებისა საზოგადოებამ უკვე იცის. ერთი უბრალო საქციელის გამოაშკარებითაც კი გასწორებულა ხოლმე საქმე და დამნაშავე პირი, რომელთა სახელი და გვარი არავის არ უხსენებია, თვითონ იძულებულნი შექმნილან თავის მართლებას და ხშირად ცუდი საქციელი გასწორებულა. ეს წესი ბეჭდვითი სიტყვაში, დიდი ხანია, შემოღებულია და სარგებლობაც მოაქვს. აიღეთ, თუ გინდათ, «ივერიის» ერთი ნომერი სექტემბრის თვისა. შემდეგ მოკლე მოთხრობისა საცრიციანო და ბორჯომის ტყეების გადაწვის შესახებ, გაზეთი დასძენს: «ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთმა ვიღაცა მოსამსახურეთაგანმა განგებ წაუკიდა ტყეს ცეცხლი»... ერთი ჰკითხეთ «ივერი»-ას, რატომ არ ასახელებს იგი ამ კაცს? ნუ თუ სახელი არ დაურქმევიათ მისთვის მონათვლაზედ? სად მსახურებს იგი? მაგრამ, ჩვენის მხრით, სრულებით არ ვამტყუნებთ «ივერიას», რომ იგი ამ კაცის ნამსახურებით სიას დაწერილებით არ აცხადებს. ამას თავისი მიზეზი აქვს...

მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როდესაც „დუშიკო" თუ „Z" გამოდგა და „მწყემსის" რედაქციას მოსთხოვა ნამსახურებითი სია და მეტრიკული მოწმობა, მიღებული საქართველო-იმერეთის სინოდალნო კანტორიდამ იმ პირებისა, რომელთა საქციელზე ორიოდე სიტყვა გამოსთქვა «მწყემსმა». როდესაც «მწყემსი»-ის რედაქციამ ხმა არ გასცა «ივერიას», გამოდგა ეს პუბლიცისტი და ლანძღვა-გინება დაიწყო: „დიაკვნებო, პრიჩეტნიკებო, «მწყემსნო» მოდით, შეიტყეთ და სხვ"... ბოლოს კარგი ჯამუშივით ჩაუდგა «მწყემსის» რედაქციას კვალში და რაებს ლაპარაკობდა, მხოლოდ ღმერთმან იცის... დავიჯეროთ, რომ ესენი წაკითხული ჰქონდა ილიას? არა გვჯერა.

*
* *

ამას წინედ „მწყემსი"-ს რედაქციამ თავის გამოცემული წიგნაკები გაგზავნა «ივერი»-ის რედაქციაში, სახელდობ—«სიბრძნე სოლომონისა» და «ისო ძისა ზირაქისა». «მწყემსი»-ს რედაქციას ეგონა, რომ თვით რედაქტორი მიიღებდა ამ წიგნებს და, თუ რამე სათქმელი იყო, თვითონ ის იტყოდა, ან მისი ნებადართვით საიმედო და მართლა საქმის მცოდნე პირი. ეს წიგნები მიიღეს გასარჩევად იმისთანა კაცებმა, რომელთაც თავის დღეში «დაბადება» არც კი უნახავსთ თვალით და მისი შინაარსის ხომ სრულებით არასფერი გაეგებათ. აი რას სწერენ «ივერია»-ში ეს ბატონები: «ჩვენ მივიღეთ წიგნაკი, რომელიც «მწყემსის» რედაქციას გამოუცია, სახელდობრ: «სიბრძნე ისო ძისა ზირაქისა. წიგნი სურათით არის გამოცემული, ოცი გვერდია, ღირს ერთი შაური; მაგრამ სამწუხაროა, რომ საღმრთო წერილის სიტყვები ერთობ უხამსად არის გადამდაბიერებული. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ საღმრთო წერილის მშვენიერი სიტყვებით დაეწერა და ასე არ გადაემდაბიერებიათ უხამსად». მორჩა და გათავდა! საზოგადოება მოიწონებს ამ სიტყვებს მისთვის, რომ ბ. «პუბლიცისტი» «დაბადების» ძველ სი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვეზედ ადგია და არა სურს, რომ იგი შეცვალოს ვინმემ. კარგი და პატიოსანი. მეორეს მხრით გულის ჯავრს იყრის თვითონ რედაქტორზე. აცხადებს, რომ წიგნი უხამსად არის გადაკეთებული და ამით საზოგადოებას გულს უგრილებს წიგნის მოპოებაზედ. რომელი სულელი მოიპოებს ამ წიგნს, როდესაც შეიტყობს, რომ თ. ილია ჭავჭავაძემ თავის გაზეთში აუგა ეს წიგნი, იცნო იგი «უხამსად» გადაკეთებული და „გადამახინჯებული“ სალმრთო წერილის სიტყვებიდამო. ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ ილიას არც ეს წიგნი უნახავს და არც ის გაუგია, თუ რა დაბეჭდეს ამ წიგნის შესახებ მის გაზეთში...

«ივერიის» ზოგიერთ მწერლებს ჰგონიათ, რომ ყველაფერი სალმრთო-საეკლესიო საკითხავი ძველი და ხან გაუგებარი ღრმა სიტყვებით უნდა იყოს დაწერილი. იმათ ძლიერ მოსწონთ ერთი ბოდბელი მთავარ-ეპისკოპოსის კილო, რომელზედაც ერთი მისი თანამედროვე მწერალი ამბობს შემდეგს: „ბოდბელმა მთავარ-ეპისკოპოსმა წარმოსთქვა მშვენიერი მჭევრმეტყველური და გრძნობით სავსე ქადაგება. ხალხი, დამტკბარი ამ მშვენიერი სიტყვით, ისმენდა და სდუმდა განკვირვებული, ვერა გამომტანი ვერცა ერთისა სიტყვისა». აბა ნახეთ და წაიკითხეთ «ივერიაში» რუსულიდგან გადათარგმნილი ქადაგებანი და დააკვირდით კარგად თარგმანში ნახმარ სიტყვებს. თქვენ შენიშნავთ, რომ თარგმანის სიტყვები ძლიერ მიემსგავსებიან ამ ბოდბელი მქადაგებლის სიტყვებს. სავსეა მთელი სიტყვა: „თვინიერ, ვინაიდგან, რამეთუ, უკეთუმცა, რომლისასა, მათისასა, მისისასა» და სხვანი. ამ ბატონებს ჰგონიათ, რომ მშვენიერად სთარგმნიან სიტყვებს და სალმრთო წერილის კილოთიც!..

საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში საღამოობით, შრომის გათავების შემდეგ, ხშირად «დაბადებას» კითხულობენ. ამ კითხვას მთელი ოჯახობა მოწიწებით ისმენს. ისმენს მიტომ, რომ ძლიერ კარგი და გასაგები ენით აქვსთ მათ მთელი დაბადება გადათარგმნილი. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი დაბადებაც ამისთანავე კარგი და გასაგები ენით იყოს ნათარგმნი. მშვენიერი ადგილები სოლომონის იგავებისა და ამასთანავე ზირაქის სიბრძნეთაგან შეუძლია გაიგოს მარტო მას, ვისაც სემინარიის კურსი გაუთავებია. დაბალი ხალხი, რომელსაც მარტო კითხვა შეუსწავლია, ვერასფერს აზრს ვერ გამოიტანს დაბადების ზოგიერთი ადგილებიდგან. ამაში ჩვენ მრავალ გზის დავრწმუნდით გამოცდილებით. როდესაც გასაგებად გამოვსთქვით ხალხისათვის სალმრთო წერილის გაუგებარი სიტყვები, ხალხს ძლიერ სასიამოვნოდ დაურჩა მათი წაკითხვა და კიდეც მიეჩვია კითხვას.

სრულებით უსაფუძვლოდ ბრძანებს «ივერიის» მწერალი, რომ ვითომც ჩვენ სოლომონ მეფის «სიბრძნე» — «უხამსად» გადაგვეკეთებინოს. ჩვენგან გამოცემულ წიგნაკში პირ-და-პირ «დაბადების» სიტყვები არიან ნახმარნი, მაგრამ ხალხისათვის ზოგიერთი გაუგებარი ადგილები კი უფრო გასაგები ენით არის გადაკეთებული.

რომ სალმრთო წერილის სიტყვები უფრო ადვილი გასაგები იყოს ხალხისათვის, «მწყემსი»-ს რედაქცია განა მოკლილია, რომ სალმრთო წერილის სიტყვებს გასაგები, მდაბიური ენით წერა და ბეჭდვა დაუწყოს? რუსეთში დღეს ყველა იმ აზრის არის და თვით უწმიდესმა სინოდმაც გარდასწყვიტა, რომ გასაგები ენით გადითარგმნოს სალმრთო წერილის წიგნები და მართლა დღეს თითქმის ყველა სალმრთო წიგნები რუსეთში გასაგებ ენაზეა დაბეჭდილი. მართალია, ჩვენი სალმრთო წერილი ისეთი გაუგებარი ენით არ არის დაბეჭდილი, როგორც, მაგალითებრ, სლავიანური ენაა რუსებისათვის, მაგრამ ჩვენი სალმრთო წერილის ზოგიერთი ადგილების გაუგებლობაც არ ჩამორჩება უკან სლავიანურ წიგნებს. ეს რომ ცხადათ დაინახოს მკითხველმა, ჩვენ მოვიყვანთ შემდეგ ნომერში თვით სალმრთო წერილის სიტყვებს.

### ბ. ან. ს. ბ—შვილს

(მისის პასუხის გამო).

ბ. ბ—შვილო! წავიკითხე თქვენი პასუხი ჩემი წერილის შესახებ და, მართალი უნდა მოგახსენოთ, დიდათ გამიკვირდა, რომ ფუჭად ჩემ სიტყვაზე სათქმელ პასუხს გვერდს უხვევთ და სხვა რაღაცებს ედებით, ვითომ გინდათ, რომ ჩემი წერილის დედა აზრი სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად დაჰფაროთ. მაგრამ უფრო საკვირველი ის არის, რომ თქვენი პასუხი ისევ ჩვენს აზრს ეთანხმება თქვენდა უნებლიეთ, თუმცა თავის გასამართლებლად კი სწერთ. აქ ჩვენ მოვიყვანთ თქვენი პასუხის უმთავრესს აზრებს და ზედვე ჩვენს აზრსაც გამოვსთქვამთ. დეე, მკითხველმა განსაჯოს, ჩვენ შორის ვინ არის მართალი.

«თქვენი წერილი უსაფუძვლოა», ამბობს ბ. ბ—შვილი, «ყური დამიგდეთ, გიამბობ ჭეშმარიტებას: როდესაც მე ლოტბარათ დამნიშნეს (შენ დაგნიშნეს, თუ სხვა, ეს სულ ერთია. ჩვენ ვამბობთ: ქართულ მგალობლებს მოუკლეს და რუსულს მგალობლებს მიუმატეს), მგალობელთათვის იყო გადადებული 850 მ. ამ ფულიდან რუსულად მგალობლებს ეძლეოდა ლოტბარითურთ 630 მ. და ქართულად მგალობლებს—220 მ. მე, როგორც ლოტბარმა და მგალობელთათვის მზრუნველმა, მივმართე ყოვლად სამღვ. იმერ. ეპისკოპოსს, რომ რუსულად მგალობელთათვის მოემატებინათ ჯამაგირი... კიდეც მოუმატეს 400 მ. გახდა სულ რუსულ და ქართულ მგალობელთათვის 1250 მ. ამ ფულიდან მე, ლოტბარს მეძლევა 300 მ. რუსულად მგალობლებს (მათში ათი დიდია და 15 პატარა) (არც იმათი წლოვანობის მეტრიკებია საჭირო) 730 მ. და დანარჩენი 220 მ. სამ კაცს ქართულად მგალობლებს».

ბ. შ—ვილო! როდესაც თქვენ ლოტბარათ დაგნიშნეს, ჯამაგირის მომატებისათვის იზრუნეთ, დღეს თქვენს წინა მოადგილეზე ერთი-ორად მეტს ჯამაგირს ღებულობთ, ე. ი. ისანი იღებდნენ, 630 მ. და თქვენ კი 1030 მ. ამ შემთხვევაში რად გინდათ მეტი ყურადღება დაიმსახუროთ მეტი ჯამაგირისთვის? იმათ, რომ ქართველი ქართველების ეკლესიაში ქართულად გალობის თქმის ვალდებული არა ხარ? მართლ მსაჯულება, თუ გნებავსთ, ეს არის! «პროპორციონალურად» გაგვიყვია ჯამაგირიო, რომ ბრძანებთ, აბა ვიანგარიშოთ, თუ რამოდენ წირვაზე გალობთ თქვენ წლის განმავლობაში: ივნისი, ივლისი, აგვისტო და ნახევარი სექტემბერი ხომ თავისუფალი ბრძანდებით და სადაც გნებავსთ, იქ დაბრძანდებით. დარჩა რვა თვე ნახევარი; ამ დროის განმავლობაში ყოვლად სამღვდელო ხან ეკლესიების საკურთხად დადის სოფლად, ხან მიცვალებულების საწირავად და ხან სარევიზიოთ. ამ მიზეზების გამო ძალიან ბევრი იქნება, რომ თქვენ წლის განმავლობაში სულ ოც-და-ხუთჯერ აგალობოთ «ხორო»; ოც-და-ხუთ წირვაში, რომ 1030 მ. მიიღოთ, მეტი რაღა გინდათ! აბა როცა ყოვლად სამღვდელო არ ბრძანდება მწირველი, მაშინ ხომ აღარ გალობთ! ეს კი ასე გახლავთ და ფული, ვისაც როგორ გნებავსთ, ისე დაუყავით. «მე ვალდებული ვარ მგალობლები ვაგალობო რუსულად და ისინი (ქართული მგალობლები) ვალდებულნი არიან იგალობონ ქართულად». ვიღას უდგებით ჯაბრში? ვინღა გყავს დღეს ქართული მგალობლები? ჩემი სიტყვების მნიშვნელობა რისთვის უარ ჰყავით? ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ ქართულ— მგალობელთა რიცხვი დაამცირეს-თქვა (ორიღა დარჩა), ისინი იმისთვის, რომ სოფელში მღვდელთ მთავრის მსვლელობის დროს მიუცილებელი საჭიროებაზე მესამე ვინმეც მოიხმარონ. სამწუხაროდ, ესეც დროებით— გახლავსთ, აი როგორ: ის ორი მგალობელი, რომ მოჰკვდეს, მათ შემდეგ მგალობლები აღარ იქნება. ბ. ლოტბარო! როგორ ფიქრობთ? მართლა რომ ასე მოხდეს, ინებებთ თუ არა მაშინ ნოტებზე დაწერილ ქართული გალობის მომზადებას, რომ იგალობონ ეკლესიაში? რასაკვირველია არა და არა! იმიტომ რომ თქვენ ქეიფზე ბრძანდებით დამყარებული და საბუთად კიდე ეს მოგყავსთ, რომ «როგორც ჩემი წინა მოადგილეები არ გალობდნენ ქართულად, არც მე ვიგალობებ და თუ არა ისინი, არც მე ვარ ვალდებული»-ო! ამას კი აღარ ამბობთ, რომ მაჭავარიანის და სხვების დროს ქართული გალობა არ იყო ნოტებზე დაწერილი, თორემ სიამოვნებით იგალობებდნენ! «630 მ. ღებულობდნენ, ჩვენ დღეს 1030 მ. ვღებულობთ». მერე იმისთვის არ გალობთ? აკი შენათ ღმერთმა! ეს თუ თავის მართლებაა და ან «ჭეშმარიტება», ან «მეცნიერება», ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ.

ჩვენ ვამბობდით: ქართლო-კახეთის კილოს რომ გალობთ, ისე იმერული კილოს გალობაც იგალობეთ და რასაც იმისთვის გამლევთ, ამისათვისაც ის მიიღეთ. მეორე; «გამლევთ» ჩვენ ბრჭყალებში ჩავსვით, რადგან სმეტაში პირ-და-პირ არ არის ნაჩვენები, რომ ქართული გალობისთვის ღებულობთ ჯამაგირს. ეს სიტყვა მენ კი დაგისვევა ხელზე და ვფიცულობთ ღმერთისა და ხატს, რომ არასოფერს მაძლევთო».

«მგალობელთათვის დაწესებული ფულისაგან სამს მგალობელს ეძლევა ჯამაგირიო», ამბობს ბ— შვილი. მართალია, თქვენ ერთს ადგილს თქვენს ჭკუა-დამჯდარ წერილში უმეცარს მიწოდებთ: „ნათქვამია, უმეცარს ყველაფერი გაუკვირდებაო", მაგრამ ისეთი უმეცარი კაცი გინახავს კი, რომ სამი კაცი ვერ დაეთვალოს? ასეთი ცილის წამება როგორ გეკადრებათ თქვენისთანა მეცნიერს?

აბა ასწი ხელი მაღლა და დავთვალოთ ქართული მგალობლები! მაგრამ თვლა კი ნეკიდამ დაიწყეთ: ერთი ნ. მეძმარიაშვილი და მეორე ნ. კანდელაკი. მესამე ვინ გნებავსთ? ი. წერეთელი ხომ არა გყავსთ სახეში? ი. წერეთელი გახლავთ იპო დიაკონი და ღებულობს რიცხვთა შორის კრებულთა იპო დიაკონის ჯამაგირს, მაგრამ, როგორც გალობის მცოდნე, ყოვლად სამღვდელოს ბრძანებით საჭიროების დროს ორ მგალობელთან მესამედ გალობს. ყველა ესეები იცის ზ. ზენაშვილმა, მაგრამ დღეს თავის მართლებაა საჭირო «და მეყსეულად დაავიწყდა რაზამ რა იყო» და ფარხმალად, ვინ იცის, რას არ ხმარობს.

შევიტყვეთ, რომ ქართული მგალობლები აღარ არიან; შენ ქართველი ხარ, ეპისკოპოსის ლოტბარი ბრძანდები, იმერეთში ცხოვრობ. ქართული გალობა ნოტებზე დაწერილი გვაქვს? მაშ რა გიშლის ხელს? ის, რომ ორი ქართული მგალობელი კიდევ არის ცოცხალი! საკვირველია ღმერთმანი! აბა ერთი გვიბრძანეთ: ნოტებზე რომ გალობა დასწერეს, ნ. მეძმარიაშვილმა და კანდელაკმა უნდა იგალობოს? არ გეკადრებათ! ბრძანებთ: «კახურათ თუ ვგალობ, ეს იმიტომ, რომ იგი უფრო ვიციო»; გარწმუნებთ, რომ ზეპირად ერთი სიტყვაც არ იცით და, თუ ნოტებით გალობთ, იმერული გალობაც ნოტებზე არ არის დაწერილი? ნოტები ხომ კარგათ იცით. «ქუთაისში თუ ქართული გალობა ენატრებათ, სად არიან თქვენისანა გალობის მოყვარე და ამდენი მონატრე, რომ სამი კაცი ვერ იშოვნეს»-ო, ამბობთ. ეკკლესია ხომ თეატრი არ არის, რომ თავისი სურვილით შევიდეს შიგ ვინმე და იგალობოს, ანუ სხვა რამ წარმოადგინოს! ეკკლესიას გამგე ჰყავს, ის ნიშნავს შიგ მგალობლებს, მწიგნობარს, მღვდელს, დიაკონს და შესაფერ ჯამაგირს უნიშნავს მათ; იმათ რიცხვში თქვენ მგალობლად გცნობთ. რადგან ამ დროში საჭირო არის, ამისთვის ჩვენს საკრებულო ტაძრებში რუსულის მცოდნეს ნიშვნენ და ისინი ასე იქცევიან: ხან რუსულად სწირავენ და ხან ქართულად. ნუ თუ მგალობლებიც ასე არ უნდა მოიქცნენ?.. თქვენ კი განზე გამდგარხართ და ამბობთ: «იმერლებს სამი კაცი ვერ უშოვიაო»-ო! კაცებად თუ არ რიცხავთ თავს, არ ვიცი, თორემ სამის მაგიერ ჩვიდმეტი ბრძანდებით. «ვის ვერ მოუხერხებია ესო», კითხულობს ზ. ზ—შვილი;— «იმერლებსო», თითონვე იძლევა პასუხს, «აფსუს იმერლებოო!» კაცი ლოტბარათ არის დანიშნული, ყველაფერი ხელს უწყობს და იმერულად კი არ გალობს! არ გალობს იმიტომ, რომ ქიზიყში არის დაბადებული და არა იმერეთში! ეგ თუ ეგრე არ იყოს, ზ. ზ—შვილო, აბა თვითონ თქვენ დაუკვირდით თქვენს სიტყვებს. იმერლებმა მაინცა და მაინც იმერული ძებნონ ლოტბარად? როგორ? თქვენ? დათხოვნის ქაღალდი ხომ არ შეგიტანიათ! არ მესმის! აგერ რატილმა, ვიღაცა უცხოელმა ჩეხმა საქართველოს ყველა კუთხეებიდან შეკრიბა სხვა-და-სხვა ხმები და პეტერბურგში წავიდა, რომ იქ ვიგალობებო და შენ იმერლებიდამ თავს ირიცხავ? «ყური დამიგდე, ჭეშმარიტებას გეტყვიო». განა ეს ჭეშმარიტება არის? ზ. ანდრია! კახური სიმღერა «შაშვი კაკაბი» პირველად თქვენ ასწავლეთ ვიღაც-ვიღაცეებს აქ; ეს ხომ უბრალო სიმღერაა, მაგრამ დღეს თითქმის ყველა იმერეთის სოფლებში მღერიან სიამოვნებით როგორც ქართულ სიმღერას, და შენ ერთმა კაცმა რომ იმერული გალობა იგალობო, რა დიდ ცოდვათ თვლით.

«განვიზრახეთ, რომ ქართლ-კახეთის წირვის საგალობლები ოთხ ხმაზე გადამეკეთებინა»... «კილო საგალობლებისა არ შემეცვალა»... «ასეც მოვიქეცი»... «ბანი შევცვალე»... «პირველი და მეორე ხმა თითქმის ხელ-უხლებელი დავტოვე და მეოთხე ხმაც მივუმატე»... ნამდვილ მართალი კაცი ბრძანდებით, ამბობთ ისე, როგორც მოქცეულხართ! ამას ახსნა აღარ უნდა, მაგრამ მაინც გეტყვით: განგიზრახავს კილო არ შემეცვალა, მაგრამ შეუცვლელად ვეღარ მოგიხერხებია და ბანი მთლად შეგიცვლია, პირველი და მეორე ხმა რომ „ხელ-უხლებელი» დაგიტოვებია, იმის მაგიერ ხელი შეგიხია «თითქმის» (თითქმის იმას ნიშნავს, რომ აქა-იქ კი შეგიხიათ ხელი), მერე მეოთხე ხმაც ზედ უცხო მიგიმატებიათ. აგრეა განა? „განვიზრახე, კილო არ შემეცვალაო» და ყველაფერი კი შეგიცვლიათ. ამ გვარმა თქვენმა პასუხმა ერთი ამბავი მომაგონა: ერთი დარბაისელი არწმუნებდა თურმე მეფეს, რომ ცუდი თავის მართლება, ანუ ბოდიშის მოხდა წყენინებაზე უარესიაო. მეფე კი თავისას ამბობდა: წყენინების შემდეგ თუ ბოდიშს მოიხდის კაცი როგორი ბოდიშიც უნდა იყოს, იგი მაინც უკეთესიაო. დანიძლავდნენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ მეფე ღამით ცისკრის ლოცვაზე მიბრძანდებოდა, უკანიდგან დარბაისელმა უცებ ხელი სტაცა, მეფემ შესძახა: ვინ ხარო? დარბაისელმა მოახსენა: უკაცრავად, დედოფალი მეგონეო! მეფე განრისხდა, მაგრამ დარბაისელმა მოახსენა: ნიძლევი მოგიგეთო. ჩემის მხრით კი (თუ უმეცრებაში არ ჩამომართმევთ), თქვენგან გაკეთებულის გალობის შესახებ ვიტყვი შემდეგ მაგალითს: თქვენ რომ

გაცმა შორიდან ოთხი კაცი გაჩვენოს, ორი მათგანი შენი კარგი ნაცნობი, მაგრამ ცხვირ მოჭრილები; მესამე ნიღაბით (მასკით) და მეოთხე ევროპიულად (ანუ ფანტაზიურათ) ჩაცმული, ამათ ყველას ნაცნობათ იცნობთ? თქვენგან გადაკეთებული გალობაც ამ გვარი ღირსების იქნება ქართველის ყურისათვის. თუ გულ წრფელად გასჯით ამ სიტყვებს, ვგონებ, ამაზე თქვენც დამეთანხმებით. «ვისაც ვკითხე, ყველამ მოიწონა» ო; ქუთაისში ვის ჰკითხავდი ქართლ-კახეთის კილოს მცოდნეს, რომ უტყუარი პასუხი ეთქვა? მე ვამბობდი: ქართული ხმები სად და რომელი კუთხისაც უნდა იყოს იგი, ქართველების ყურს მაინც არ ეჩვენება უცხოთ-მეთქი, და თუ ჩვენ, როგორც ქართველს, თქვენგან გადაკეთებული გალობა უცხოთ გვეჩვენა, ნამდვილ ქართულ ხმად ვერ ვიცანით და თუ გინდა კიდევაც გაგვიკვირდა (თქვენ თუ გიკვირს არ ვიცი და ჩვენთვის გასაკვირი არ არის, საცინელი რომ არ იყოს), განა ამისათვის გვიკიჟინებთ «უმეცარს ყველაფერი გაუკვირდებაო»? თქვენ კი იმათ ყველას მეცნიერათ სთვლით, ვისაც თქვენ ჰკითხეთ და მოგიწონათ? ერთის სიტყვით, ვინც თქვენ რამეს მოგიწონებს, ყველა მეცნიერი ყოფილა და, თუ გაგიმტყუნა—უმეცარი! იყავნ ნება შენი.

„აღდგომის მეორე დღეს... ორიოდე საგალობელი, «ანგელოსი ღაღადებს», «განათლდი, განათლდითურთ», «მამაო ჩვენო», სამ ხმაზე გადაკეთებული და «ქრისტე აღდგა»... გაგალობე... «ეს საგალობელი გადაკეთებული და გადამახინჯებული არ გახლავს... ეს არის ჩემგან... ფანტაზიურ ევროპიულ კილოზე... აშენებული“. «ანგელოსი ღაღადებს» და «განათლდი განათლდი» ჯერ ერთხელაც არ გიგალობნიათ: არც ქართლ-კახეთის კილოზე და არც იმერულ კილოზე, უკეთესი კი იქნებოდა, რომ ჯერ მამა-პაპურად თქმის «ფანტაზია» მოგესვლოდათ! ეს რა ფანტაზია არის, რომ მინაური შეგძულდათ და გარეულზე ოცნებობთ! «დამახინჯება კი იმასა ჰქვიან, როდესაც რამე ქმნილებას ისე გადააკეთებს ავტორი, რომ დედანს ძლიერ ცოტაღა წაავგავს». უცხო და პატიოსანი! მეც ეს მოგახსენეთ. მაშ, რით გნებავს დაგიმტკიცო, რომ დედანს ძლიერ ცოტაღა ჰგავს? აქ შენგან დასახელებული საგალობელნი, მე არ შემიძლია, რომ «მწყემსი»ს მკითხველებს უგალობო შენებურად „მწყემსი“-სავე საშუალებით და ისე თუ დამიჯერებთ, დედანს ერთი სიტყვაც არ წაავგავს, არც შენი «ანგელოსი ღაღადებს», «განათლდი, განათლდი» და არც «მამაო ჩვენო», ეს შენც კარგად იცი და ვისაც მოუსმენია, ყველა გეტყვისთ დაუფარავად.

ქართული ხმების მოყვარე.

## საისტორიო მასალა.

# „გუჯრები“

### სიონის.

1553 წ. ჩვენ ბაგრატუანთა ძეთა კურთხეულისა პატიოსნისა ალექსანდრესთა პატრონმან კონსტანტინე და ძმათა ჩვენთა ესე უკუნისამდის ჟამთა გასათავებელი წიგნი სიგელი და ნიშანი მოგახსენეთ თქვენ ყოვლად სასოსა და შესავედრებელსა ჩვენსა სიონთა ღვთისმშობელსა კურთხეულისა პატიოსნისა მამისა ჩვენისა სულისა მოსახსენებლად და სადღეგრძელოდ ჩვენთვის და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად. და შემოგწირეთ მცირე ესე შემოსაწირავი ქალაქური ლიტრითა ორი ლიტრა სანთელი და ერთი ლიტრა საკმელი ტალმისან ესე ყოველ წელიწადთა უკლებლად მოგეხსენებოდეს და არა დაკლდებოდეს და არა შეგეცვალოს და არცაოდეს მოგეშალოს და დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთან აკურთხნეს, დაიწერა სიგელი ესე ქო-სა სმა ხელთა ისიდორესითა. [1])

### სიონის.

1634 წ. ქ: ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ დედოფალმან პატრონმან მარიამ ესე წყალობისა და თანახმობისა წიგნი გიბოძეთ თქვენ ქალაქს სიონთა ღვთის მშობლის ყმათა ასრე რომე ამას წინათაც ხელმწიფეთაგან თარხანნი იყვენით ახლა თბილელი და სათბილელო ყმა ჩვენ პირის სანახავად მოგვართვეს აწე ჩვენცა გათარხნეთ და გაგათავისუფლეთ რომე

[1]) პლ. იოსელიანს თავის თხზულებაში „Древности Тифлиса“ გვ. 213 მოჰყავს შინაარსი ამ გუჯრისა, რომელიც დამტკიცებულია მეფის ხელის მოწერით. დ. ფურცელაძეს არ აქვს მოხსენებული ეს გუჯარი თავის წიგნში „Церковные гуджари“. პლ. იოსელიანი «პატრონს» კონსტანტინეს სთავმნის «მეფედ» („грамата царя Константина“). მაგრამ ამ დროს 1525—1535 წ. მეფობდა გიორგი IX, შვილი კონსტანტინე მე-III და ძმა დავით მე-VIII. მეფე კონსტანტინე 1533 წ., რომელსაც ეკუთვნის გუჯრის თარიღი «ქართლის-ცხოვრებაში» არ არის ცნობილი. ეს «პატრონი» კონსტანტინე უნდა ყოფილიყო ჩემის აზრით შვილის-შვილი ალექსანდრესი, ძმისა მეფე კონსტანტინე მე-III და შვილი ალექსანდრესი, ძმისა მეფე გიორგი მე-IX. ამიტომაც გუჯარს ეს პატრონი კონსტანტინე იხსენიებს „ძეთა ალექსანდრესთა“.

არაფერი არა საჩვენო და არა სანეფო და არა სათათრო სათხოვარი არა გთხოვებოდეს და არა მიზეზითა და არა უმიზეზოდ არც მოურავს, და არც მამასახლისსა და მელიქსა და ჰაცვალსა და გზირს და ვინ გინდა ვინ კარით ჩვენით წარვლენილნი იყვნეთ ნურცავინ თქვენ დაიდებთ ხელს რარიგადაც საყდარსა და თბი ლელს ეპრიანებოდეს იმ გვარად იმსახურებდეს დაიწერა წიგნი და სიგელი ქრონიკონსა ტკბ (163 · წ) [2].

მარაამ.

---

## სიონისა.

1666 წ. ნებითა:. და:. შეწევნითა:. ღვთისათა:. და მეოხებითა:. სიონთა:. ღვთის:.მშობლისათა:. ესე:. წიგნი:. მოგართვით:. თქვენ:. სიონთა:. ღვთის:. მშობლისა:. და შენ:. ზედა:. საჭეთ:. მპყრობელსა თბილელ მთავარ:. ეპისკოპოზსა:. იოსებს:. ასრე:. რომე:. კურთხეულმან:. თბილელმა:. ელისე:. საყდრის:. ალაგი:. მი·ოძა:. და:. მე:. ალვაშენე:. და:. ჩემი ძმა:. იმას:. ვაყმე:. და. მასუკან:. მე. ჯვარის:. მამად:. დამაყენეს:. და მერმე:. მე:. ჩემი:. ძმა:. აბდულმესი:. ბატონს:. ცicis:. ვაყმე:. და. მე:. იერუსალემს:. წაველ:. და. ის:. სახლკარი:. თქვენ:. მოგაბარეთ:. ამანათად:. რომ:. რაც:. ქირა:. აიღოთ:. ნაშენებისა:. მე:. შემინახოთ:. საყდრის:. წილი:. და სამართალი:. რაც:. იყოს:. თქვენი:. დაიჭიროთ:. და. ვინ:. იცის:. ჩემი:. ძმა:. იქ:. ველარ:. დადგეს:. და. ჩამოვიდეს:. თქვენ:. ქირით:. სახლკარი:. სადმე:. უშოვეთ. და. იმ:. სახლების:. ქირისაგან:. იმას:. ქირა:. მისცეთ:. და. თუ:. მე:. მოვიდე:. ჩემის:. ნაშენები:. და. თუ:. მე:. ვერ:. მოვიდე:. შენების:. ნახევარიის:. ფასი:. ჩემს:. ძმას:. ჩიეცით:. და. ნახევარი:. სიონთა:. ღვთის:. მშობლისათვის:. ჩემისა: სულისათვის:. შემიწირავს:. ჩემის:. სულის:. მოსახსენებლად:. რომე:. ბატონი:. თბილელი:. და. სრულა:. სიონთ:. კერზო—კრებული:. შანდობით:. მამიგონონ:. და. თუ:. ვაჭარი:. აიჩენთ:. და. გაჰყიდით:. ნახევარი. ფასი. ალაგისა. და- შენებისა. ჩემთვის:. არის. და ნახევარი. სიონთა:. მღვთის. მშობლისა. იყვნს. რაცა. იყოს. და. თუ ბევრთ. და. კარგად. გავყიდოთ:. ორთავეს. სარგებელია:. და. თუ არ. ორმოცდა. ათს. თუმანსა. ქვედს: ნუ:. მისცემ:. და. ნახევარი ამისა:. ფასი. მე. შამინახეთ:. და ნახევარი. და. თქვენის: საყდრისა:. და. თუ რამ. მეტი:. წამოვა:. ჩემის სულისათვის:. სიონთა. ღვთის:. მშოპლისათვის:. შემიწირავს:. როგორაც. ზემ ორ. გვითქვამ. თბილელი. და მისნი. კრებულნი:. მამახსენებდენ:. წირვაში. და. მადლობას. მეტყოდენ. და. ამ რიგათ ალსრულებდნენ. აწე. არის ამის მოწამენი. და. დამსწრენი. ხელმწიფეს:. ყმანი:. გულ. ფაშა. შვილი:. დავით:. და დერა· გრიგორაშვილები:. მარტიროზა. და მისი. ძმანი. და შანშეშვილი. ხოსინა:. და მისი. შვილები:. და სრულნი. სუდრის ყმები. ანბროსა:. შვილი. მაზარებელი. და ანბროს. და შეგლაკაშვილი. მამუკა. და. ბეგალა. ანტონა:. და სრულ. ერთ. პირად. სუდრის. ყმები. და. მემრე. ჩემი. კერზოს. სახლის. ფასი. რომე გაისუდროს. ნახევარი. ანბროზს. ანბროსაშვილი. ალას. კალი. და. ნახევარი. ანტონამან. ალას. ვალი. ასრე. რომე. თუმნის. თავსა. თვეში. ერთი. შაურის. სარგებელი მომცნენ. სანამდინ, ჩემი. თეთრი. მაგათის, ხელთა, იყოს. და რაწამ ჩემი თეთრი მაიდომ. და სთხოვო. მაგათ. უმიზეზად. მომცენ, და უკლებლად. თავისის, სარგებლითა, არცა ვიცი. ღმერთმან, ნუ ქმნას, დაკარგვა, და არც. წახდინა:. რისმე. მეზეზისაგან. არა, იყოს. რა. და. თუ, მაგას. და, ძმა. პირობა. არ გათავონ:. ჩემის. ცოდვის, მზღველნი. იყვნეს:. ბატონი, და ყმანი, და. თუ. მართლად. ვაი.. გვარად:. გათავენ:. ამა პირობა, ღმერთმან, ადღეკრძელონ, და, შაუნდნეს, და. წმინდათა, ადგილის. მადლი. შეაწიოს. ამინ. ამინ. ალასრულა, ესე. ქრსა, ტზდ:. ათ თოთხმეტსა. მაისასა. [3])

---

[2]) პლ. იოსელიანს შეცდომით ამ გუჯრის თარიღი აღუნიშნავს 1637 წლად. ქო ონიკონი ტკბ=1634 და არა 1637 წ. (Древности Тифлиса, გვ. 208); დ. ფურცელაძის ალბექდილ გუჯრებში ეს გუჯარი არ მოიპოვება.

[3]) იოსებ თბილელი თარხნიშვილი დიდ მოურავის ჩამომავალი იყო. მან დასწერა ლექსად ისტორია თავის გვარისა (გამოსცა პლ. იოსელიანმა 1851 წ.) ელისე თბილელი გუჯარში მოხსენებული გვარად საგნაშვილი იხსენიება 1628 წ. მის და იოსების შუა თბილელობდეს: ბერძენი კირიაკე და ვარნავა. ეს გუჯარი შესანიშნავია მით, რომ ძმას შეეძლო ძმის ყოკლიალ გადაცემა ეკკლესიისთვის. იოსების შემდეგ თბილელობდა სიმეონი და შემდეგ დომენტი მესამე, რომელიც შეგვხვდება შემდეგ გუჯარში.

## სიონის.

1727 წ. ქ. სახელითა სახიერისა არსებისა დაუსაბამოსა მამის და ძისა და სულისა წმიდისათა და შუა მდგომლობითა ყოვლად უბიწოსა წმიდისა სიონთა ღვთის-მშობლისათა ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წიგნი და ნიშანი მოგართვით ჩვენ ორბელიანის შვილმან ტფილელმა ბოლნელმა მიტროპოლიტმან დომენტიმ და ერთობილთ სიონთა ღვთის-მშობლის კრებულთ თქვენ ღვთის მოყვარესა და მართლ-მადიდებელს ამილახორს ბატონს გივს მას ჟამს ოდეს ალაოხრეს ლეკთა ტფილის ქალაქს სიონთა ღვთის-მშობელი შემდგომად მათსა დაიპყრეს ქალაქი და ქვეყანა ქართლისა ურუშთა მაშინ პატრონობდა კეზირი ისაყფაშა ახალ ციხისა ბრძანებდა ფარმანი მასლოდა ხონთქრისაგან სიონთა ღვთის მშობლის ტაძრის ბეჯითად შექნა ინებეს ჩვენთა წმიდამ ღვთის-მშობელმან თქვენი თავი გამოგვიჩინა დამკსნელად ნუგეშინის მცემლად მოვედით ჩვენის კრებულის და დიდის მწუხარებით თავი გაწყინეთ თქვენც ვინცა-ვინ ქართველნი დარბაისელნი თანშემიყარენით და ამის შეწევნასა და ხსნას გულმოდგინეთ ეცადენით მიხვედით ფაშასთან არზა მიართვით და დიდად თავი გარდასდევით თითქმის დატყვევება და ამოწყვეტა ირჩიეთ და ამ საყდრის დაუნებელობა იმანც ყური მიუგდო თქვენს მოხსენებასა ხელი აიღეს დიდად დაგამადლეს და ფეშქაშიც მრავალი გაიღევით და საყდარსაც შესწირედ, რადგან ამდენი სასყიდელი და ჭირნახული დასდევით ჩვენს მონასტერზე ჩვენ სხაფრივ ვერას გემსახურებით და ეს პირობა მოგვიხსენებია, რომე რადგან ახალკვირის შაბათს იყო ჩვენი განსაცდელი და საყდრის გამართმევის ამბავი ისივ ახალ კვირის წინა დღე შაბათი განვაწესეთ თქვენთვის მოსახსენებლად. ამ დღის იქით ყოვლის წლისათვის იმ შაბათს ჩვენ და ჩვენი კრებულნი ირთობილნი ჟამს გიწირევდეთ თქვენდა თქვენთა შვილის შვილთა დაუვიწყებლად მოვიხსენებდეთ ჩვენ ეს პირობა მოგვიხსენებია და რომელიც შემდგომად ჩვენსა ხარისხსა ამას ზედა ტფილელობდეს მათთვისაც ასე ანდერძად დაგვიგდია და ნურც დააკლებდენ და თუ ვინმე ეს ჩვენგან სამართლად გამწესებული მოხსენება და ანდერძი დაივიწყოს და მოშალოს იგიმცა მოიშლების ყოვლისა კეთილისაგან და ჩვენთა ცოდვათა წილ იგიმცა განიკითხვის დღეს სასჯელის ასახლო. დამტკიცებულნი ამისნი ღმერთმა აკურთხნეს დაიწერა ხელითა სიონის დეკანოზის შვილთა ოსესითა: აპრილის ԾՂ ქორონიკონს ՅԻԵ [4])

ქ. რომელიცა კურთხეულს დომენტის ტფილელს განუწესებია მე ტფილელი ექვთიმე. ვამტკიცებ და აღვასრულებ და შემდგომად ჩემსა სხვანიცა ესრეთ ჰყოფდენ (ბეჭედი ტფილელი მიტროპოლიტის ეფთიმესი)

ქ. ჩვენ ტფილელი მიტროპოლიტმა თუმანიშვილმან ქრისტეფორემ ეს სიგელი ღვთის ნებით დავამტკიცეთ. ქრისტეფორე

---

ეს წიგნი დავაგდე მე ჯვარის მამამ მელიტონ ასე, რომ ეს ჩემი სასახლე [5]) თბილელის ხელში ჩავაგდე გამიყიდოს ალაგი და ნაშენები: ნახევარი სიონთა ღვთის მშობლისა და ნახევარი ფასი მე ანტონასა და ამბროსას მიმიბაროს და ანტონამა და ამბროსამ ჩემი საქონელი მისარგებლოს სადამდი ჩემსა მოვიკ თხევდე და როდესაც გთხოვო ჩემი თავნი სარგებელი უკლებად მომაბაროთ.

ანტონასა და ამბორასასგან თამასუქი ამილია. ამის მოწამე და დამსწრე მე პეტრე ვარ.

---

## ქაშვეთი.

1775 წ. ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ჭირი მოსცეს სამარადისოდ თქვენს მლოცველს ქაშუეთის მღვდელს ფილიპეს. ახლა ამას მოვახსენებთ ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს: ციხეში თქვენი ნაბოძევი ხუთის დუქნის და ერთის ოთახის ადგილი მორთმეული იყო ეკკლესიისათვის, ჩვენ ავაშენეთ ჩვენის ხარჯით, ახლა მოქალაქეთ დააქციეს ორი,

---

[4]) 1701—1727 წ. დომენტი მესამე ორბელიშვილი წოდებული თბილელ ბეგაკნად კარგად ცნობილია როგორც წიგნების გამომცემელი, სკოლების მმართველი და თანამშრომელი მეფე ვახტანგ მე-VI. შემდეგ დომენტისა თბილელებად იყვნენ ნიკოლოოზ მე-III (1703 წ.), პავლე (1705) არსენი I (1713) და ამ გუჯარში მოხსენებული ეფთიმე პირველად იხსენიება 1718 წ. ამის დროს შაჰთაბაზმა აოხრა საქართველო (1735) წ. შემდეგ ეფთვიმესი თბილელად იყო ათანასე ამილახვარი, რომელიც გაგზავნილი იყო ირაკლი მე.II მიერ იმპერატრიცა ელისაბედთან შემწეობის სათხოვნელად. ამის შემდეგ დაჯდა თბილელად ქრისტეფორე თუმანიშვილი, (1762), რომელიც ამტკიცებს ზემო მოყვანილს გუჯარს. მაშასადამე დომენტის და ქრისტეფორეს შუა სხვველა თბილელებთან არ არ ყოფილა წარდგენილი ეს გუჯარი.

[5]) უთარიღოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც დიდი იყო, სასახლეს შეუმატეს: სამი გზათ მოხვდა, ორი ოთახის ადგილი, რომელიც კარგი ადგილი იყო, ის ნალბანდს ააშეაებინეს რაც მასალა ხე თუ აგური ქვა სრულ ამათ დახარჯეს ახლა იქითკენ აძლევენ ეკკლესიას, რომელიც მცირე არის. ამის მეტი მამული არა აქვს რა, ამით ვინახავდი ეკკლესიას, ოთხითვე არის, რომ დააქციეს თქვენმა მზემა ცისკრად სამთელი არ მქონდა ამენთო თქვენთა სადღეგრძელოთ, წ ალობას ვითხოვთ ეკკლესიას თავის მამული დანებლეს. ნალბანდმა რომ ააშენა, წიგნშიაც ის ადგილი სწერია.

თქვენი ბრძანებით თქვენს დროში ეკკლესიას რომ სწერია ვის დროში მიეცეს ეკკლესიასაც თქვენია მამულიც ნება ხელმწიფისაა. ამას ახლა ეს რომ წაერთოს, მერე სულ წაერთმევა ღმერთი გადღეგრძელებსთ, ნუ დაუკარგავთ ეკკლესიას თავის დანახარჯს მივცემ ნალბანდს.

ქ. მელქოს აეეტიქ და ქეთ სუდებო, რომელიც ამ ეკკლესიის მამულია აშენებული თუ აუშენებელი გამოგერთმევათ.

ამ მამულს ხომ აშენებული დუქანი, რაც ქაშვეთის მამული იყოს ამაზე მეტი მიეცით თორემ დაკლებას ნუ მისცემთ.

ალიწერა ღვინობისთვის (3) ქორ. უჲგ ამის მამულში შენობა იყოს დუქნისა ის არ გამოეწირება უნდა მიეცეს თუ არ იყოს შენობა აშენებული დუქნები მიეცეს და მეტი იმათზე ჩვენ ბრალი აგვიყრია მეტი მიეცით. კარგა მეტი მიეცით ერთი სადუქნე კიდევ მეტი მიეცით ეკლესია არ დაეკარგოს კიდეც დაუშალე აშენება ავათაც შამეკიდა. 6)

6) შენიშვნა. მეფე ადგენს. თხოვნა მღვდლის ფილიპე შესრულდეს. თუმცა არ არის ხელმოწერილი, მაგრამ თარიღი, რომელიც უზის გუჯარს, გვაძლევს საშუალებას მივაწეროთ ეს გუჯარი ირაკლი მეორეს (Бутковъ, матерiалы по исторiи кавказа). ეს გუჯარი არ აქვს დაბეჭდილი დ. ფურცელაძეს.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრება დანიშნულია ქ. ქუთაისში ოქტომბრის თვის 28, 29 და 30 რიცხვებისათვის.

***

გამოვიდა და ისყიდება წიგნაკი, სახელად «მრავალ წამებული იობი». თითოეული ცალი წიგნაკისა ღირს ერთი შაური. ვინც ასს წიგნაკს დაიბარებს, მას მანეთზე 30 % დაეთმობა.

***

«მწყემსის»-ს რედაქცია უკვე შეუდგა მომავალი წლისათვის კალენდრის ბეჭდვას. ეს კალენდარი შარშანდელზე უფრო ვრცელი და სურათებიანი იქნება.

***

აჰნაურის ნიკოლოზ ჩიკვაიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: «შეიტყო თუ არა ბ. ნ. ღოლაბერიძემ, რომ მე სოფელს ალისუბანში ვაშენებ სამრევლო სკოლისათვის სახლს, მან ამ დღეებში გამომიგზავნა ექვსი თუმანი ამ კეთილი საქმისათვის. გულითად მადლობას ვსწირავ პატივცემულს ბ. ნ. ბ. ღოლაბერიძეს ამ შეწირულებისათვის, მაგრამ ამ ფულის მიღება არ შემიძლია თანახმად შემწირველის სურვილისა, რადგან სასწავლებლისათვის სახლს მე ჩემის საკუთარის ხარჯით ვაშენებ. ამიტომ ამ ფულებს უგზავნი მე ყოვლად სამღვდელო გაბრიელს, იმერეთის ეპისკოპოსს, რომ მათმა მეუფებამ ამ ფულით მოიპოვოს ხსენებული სასწავლებლისათვის სახელმძღვანელო წიგნები».

***

გაზ. «ივერიის» სიტყვით 23 ენკენისთვეს უკურთხებიათ თბილისის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესია. ამ სკოლას წინადაც ჰქონდა თავისი «კარის» ეკკლესია, ხოლო იგი მოთავსებული იყო ისეთ მცირე ოთახში, რომ მლოცველებს ვერ იტევდა. დღეს ეს ეკკლესია გაუდიდებიათ და მოსწავლეთა გარდა

დაიტევს მრავალ გარეშე მლოცველებსაც. ეკკლესიის კურთხევა ეგზარხოსს მიუნდვია სემინარიის რექტორისათვის.

*
* *

ფოტოგრაფს დავით აბაშიძეს, რომელსაც ფოტოგრაფია ქვირილაში აქვს გამართული, გადაუღია წიფაში რკინის გზის გვირაბის კურთხევის სურათი და ამ თვეის ოცს მოურთმევია ბ—ნ გზათა მინისტრისათვის. ბ—ნს მინისტრს ძალიან მოსწონებია მხატვრობა, დიდი მადლობა უთქვამს ბ—ნს აბაშიძისათვის და ორასი მანეთიც უჩუქებია. („Ივერია“).

* *
*

სოფ. ხაშმი (თბილისის მაზრა): ჩვენი სოფლიდამ ექვსის ვერსის მანძილზე არის დიდებული და ძველად შესანიშნავი ეკკლესია სამებისა კათედრა სამებელ მთავარ-ეპისკოპოსთა, რომელთა შორის საყურადღებოა ღვაწლი მთავარ-ეპისკოპოსის იოსებ სამებელისა. ამ სამებელმა დიდი შრომა გასწია მოსკოვში სტამბის დაარსებისა და პირველად დაბადების დაბეჭდვის საქმეში. ეს ეკკლესია დღემდე დაქცეული და დანგრეული იყო ჟამთა-ვითარებისა გამო, ხოლო დღეს იოანნე ნათლის მცემლის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტს მაკარის განუზრახავს აგება ახალის ტაძრისა კავკასიის ჯარებისთვის. ალაგი კიდევაც შემოღობეს და მუშაობაც დაიწყეს. წინად ჰქონდათ გადადებული ამ ეკკლესიის აღსაშენებლად თითქმის ერთი მილლიონი, ეხლა-კი ეს თანხა შეამცირეს. რადგან იჯარით ვერ გასცეს ეკკლესიის აღშენება, მთავრობას გადუწყვეტია კომმისიონერულის წესით ააგოს იგი და გამგეობა მუშაობისა ჩაუბარებია სამხედრო ინჟენერ პოდპოლკოვნიკ გერასიმოვისთვის. («Ივერია»).

*
* *

დღეს რუსეთის ეკკლესიის უმაღლეს მღვდელ-მთავრობას შეადგენს 110 მღვდელ-მთავარი; ამათში სამი მიტრაპოლიტია, 16 მთავარ-ეპისკოპოსი და 91 ეპისკოპოსი. 110 მღვდელთ-მთავრებში ეპარქიებს განაგებენ: სამი მიტრაპოლიტი, 14 მთავარ-ეპისკოპოსი და 45 ეპისკოპოსი; ვიკარნი ეპისკოპოსები არიან 36; დათხოვნილნი არიან მოსასვენებლად ორი მთავარ-ეპისკოპოსი და რვა ეპისკოპოსი; ორი ეპისკოპოსი გერმანე და მარკელლი მიწვეულნი არიან უწმიდესს სინოდში კრებებზე დასასწრებლად. ამ 110 მღვდელთ-მთავრებში მხოლოდ ორს (მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ნიკანორს, ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსს და ყოვლად სამღვდელო სილვესტრს, კიევის სასულიერო აკადემიის რექტორს, კიევის სამიტრაპოლიტოს პირველ ვიკარს) აქვსთ უმაღლესი ხარისხი ღვთის-მეტყველების დოქტორობისა, ხარისხი ღვთის-მეტყველების მაგისტრობისა აქვსთ 64 მღვდელთ-მთავარს, ღვთის მეტყველების კანდიდატობისა—34, უნივერსიტეტის კანდიდატობა ორს მარკელლს და ფლავიანს, სემინარიის სტუდენტობის ხარისხი 7 და ერთსაც სასულიერო სამაზრო სასწავლებელში აქვს სწავლა დამთავრებული. უფრო ხნიერნი არიან: მაღალ ყოვლად უსამღვდელოესნი მიტრაპოლიტნი: ისიდორე—91 წლისა და პლატონი 87 წლისა, მთავარ-ეპისკოპოსნი: იოსები—86 წლისა და ნიკიფორე 75, ეპისკოპოსი ოლონეცკისა პავლე—78 წ. და მთავარ-ეპისკოპოსნი: იაროსლავსკისა იონათანე—74 წ. დონსკოისა მაკარი—72 წ., ხარკოვისა ამვროსი 71 და კიშინევისა სერგეი—71 წ.

და ბოლოს მღვდელთ მთავრის ხარისხში ყველაზე უფრო დიდხანს იმყოფებიან: მიტრაპოლიტი ისიდორე—56 წელიწადი (11 ნოემბრიდამ 1834 წლისა), ვორონეჟსკის მთავარ-ეპისკოპოსი იოსები—48 წ., მიტრაპოლიტი პლატონი—47 წ., ეპისკოპოსნი: იმერეთისა—გაბრიელი 32 წ. და ვლადიმირსკისა—თეოფანე—31 წ.; შემდეგ მთავარ ეპისკოპოსნი: ნიკანორი, სერგი და წევრი უწმიდესი სინოდისა ლეონტი ოცდა ათი წელიწადია, რაც თითოეული მათგანი მღვდელთ მთავრობს, ხოლო მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მოსკოვის მიტრაპოლიტი იოანნიკე იმყოფება ეპისკოპოსის ხარისხში 29 წელიწადი, ხოლო დაბადებიდგან არის 64 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

## მრავალ წამებული იობი.

(დასასრული *).

კვალად რქვა იობმა: ოხ, ნეტავ დღესაც იმ მდგომარეობაში ვიყო, რომელშიაც ვიყავი მაშინ, როცა უფალი მიფარავდა მე, როცა მისი მოწყალება იყო ჩემს სახლზე! ხოლო დღეს გარე მომადგეს მე უბედურებანი, განვიდა ჩემგან სასოება, ვითარცა ქარი და ვითარცა ნისლი ცხოვრება ჩემი. და აწ ჩემზედა დაინთხეს სული ჩემი და შემიპყრეს მე დღეთა მწუხარებისათა; ღამით ძვალნი ჩემნი გამწარებულ არიან, ხოლო ძარღვნი ჩემნი დაიხსნეს. მუცელი ჩემი დუღს, მე დავდივარ გაშავებული, მაგრამ არა მზისაგან; შევიქენ მე ძმად ტურებისა და მეგობრად სირაქლემათა. შენდამი მოვიღრტვი, უფალო, მაგრამ შენ არ ისმინე ჩემი. შენ ძლიერითა ხელითა შენითა დამაწყლულენ მე და მუსრავ მე. რა მიმშლის მე უფლისაგან ზეცით? რა სამკვიდრებელს უნდა ველოდებოდე მე ყოვლის მპყრობელისაგან? რა კარგი იქმნება, რომ დამდებდენ მე უღელთა ზედა სიმართლისათა, მაშინ უფალი იხილავს ჩემს უმანკოებას. უკეთუ ჩემნი ფერხნი მიდრკენ გზისაგან, თუ რაიმე უსჯულოება ჩაიდინეს ხელთა ჩემთა; მაშინ რაიცა ვთესო, მოიმკოს სხვამ, და უძირო ვიქმნე ქვეყანასა ზედა. უკეთუ გული ჩემი იტყოდა დედაკაცისა ქმრისა სხვისისასა, და მე მჯდომარე ვიქმენ ბჭესა მისსა, მაშინ ცოლი ჩემი ეყოს სხვასა ქმარსა და დეე, სხვანი დასცინოდენ მასს; ვინაიდგან ეს დამნაშაობა, ეს უსჯულოება ღირსია დასჯისა. თუ მე შეურაცხვყვე უფლებანი მონისა, მაშინ რა უნდა მიუგო უფალსა, რომელმაც შემქნა მე მუცელსა შინა, შექმნა აგრეთვე მოსამსახურეცა? განა ოდესმე მე უარი უყავ გაჭირებულთ და არ შევეწიე ქვრივთა? განა მარტო მე ვსჭამდი ჩემ პურს და მისგანვე არ მიჭმევია ობლისათვისაც? განა როცა ვიხილავდი შიშველთ, არ შევმოსავდი მათ ჩემი ცხვრების მატყლითა. თუ მე ოდესმე შევეხებივარ ობოლთა ჩემი ხელით, მაშინ, დეე, ჩემი ხელი მოსწყდეს ნიდაყვამდის. განა მე დაიმედებული ვიყავი ოქროზე, განა მე ოდესმე უთხარ ჩემს ქონებას: შენ ხარ ჩემი სასოება! განა მიხაროდა მე, რომ დიდი სიმდიდრე მქონდა, რომ ხელმა ჩემმან შეიძინა მრავალი, და განა ბაგენი ჩემნი ეამბორებოდენ ხელთა ჩემთა? ესეც ხომ დამნაშაობა იქმნებოდა, რომელიც ღირსია დასჯისა; ვინაიდგან მე ამით უარსა ვჰყოფდი უფალსა. განა სასიხარულო იყო ხოლმე ჩემთვის მტრის დაღუპვა და ან ოდესმე მიმიცია ნება ჩემი თავისთვის დამეწყევლა მტერი? მგზავრი არ ათევდა ღამეს ქუჩაზე; ჩემი სახლის კარები გაღებული მქონდა გამვლელთათვის. თუ მე ოდესმე შევაწუხე ქვეყანა და უფასოდ ვსჭამე ნაყოფი მისი და შევავიწროვე მიწის მუშა, მაშინ, დეე, პურის მაგიერ აღმომივიდეს მე კუროსთავი, ხოლო ქერის მაგიერ ღვარძლი. ოხ, ნეტავი ვინმე ისმინოს ჩემი. მე მსურს, რათა უფალმა მომიგოს მე და მფარველმა ჩემმან შეადგინოს აღწერა. მე ვატარებდი მას მხართა ზედა ჩემთა და დავიდებდი მას თავსა ზედა, ვითარცა გვირგვინსა.

იობმა დაასრულა ლაპარაკი; სამნი მისი მეგობარნიც დაჩუმდენ, რადგან არ უწყოდენ, თუ რაი ეპასუხათ მისთვის. მაშინ მიუგო იობს ელიუსმა, იობის მეოთხე მეგობარმა, რომელიც მოვიდა იობთან ბოლოს. ელიუსი ჩუმად იყო, სანამ იობი ლაპარაკობდა; ელოდა, თუ რას ეტყოდენ მასს მისი მეგობრები. მაგრამ როცა ყველანი გაჩუმდენ, ელიუსი განურისხდა იობს, ვინაიდგან იგი უწოდებდა თავსა თვისსა მართალს წინაშე ღვთისა, ხოლო სამ მისს მეგობარს განურისხდა, რადგან მათ ვერ შესძლეს პასუხის გება იობისა. ელიუსმა რქვა: მე უმცირეს ვარ წლითა, ხოლო თქვენ ხართ უხუცეს, ამიტომ ვშიშობდი და ვერ ვბედავდი ჩემი აზრის თქვენს წინაშე გამოცხადებას. მე ვფიქრობდი: დეე, მათ ილაპარაკონ, ვინაიდგან მრავალთა შინა წელთა უწყიან სიბრძნე. მაგრამ არც ერთი თქვენგანი არ ამხილებს იობს, თქვენ ჩუმად ხართ და არასფერს პასუხს არ აძლევთ იობს იმის სიტყვებზე. ამიტომ ეხლა მე თვითონ უგებ პასუხს იობს, განუცხადებ მასს ჩემს აზრს, ვინაიდგან სავსე ვარ სიტყვითა და სული მე-

*) იხ. «მწყემსი» № 17.

ცლისა მკლავს მე. მე არ მივხედავ კაცის ვინაობას და არც არავის პირში მივეფერები.

მაშ ისმინე, იობ, სიტყვანი ჩემნი და თქმანი ჩემნი ყურად იხვენ. თუ შეგიძლია, პასუხი მიგე მე. შენ სთქვი: «წმიდა ვარ მე არა მცოდველი, უბიწო ვარ, რამეთუ არა ვიუსჯულოე; ხოლო უფალმა იპოვა ყვედრება ჩემზედა და შემრაცხა მე, ვითარცა წინაალმდგომ თავისად». აი ამაში ხარ შენ დამნაშავე, მოგიგებ შენ, იმიტომ რომ ღმერთი უმაღლეს არს კაცისა და თავის მოქმედებაში არავის პასუხს არ აგებს. ღმერთი არის მართლმსაჯული, იგი მიაგებს კაცსა საქმისაებრ მისისა. ჭეშმარიტად ღმერთი არ იქმნს უსამართლოებას. მის გარდა ვინ ზრუნავს ქვეყნისათვის? ვინ განაგებს მთელს მსოფლიოს? რომ უფალმა ინებოს დაპყრობად და სული თვისი მიიქციოს თვისადმი, მაშინ მოჰკვდეს ყოველი ხორციელი ერთბამად და კაცნი მიიქცნენ მიწად, ღმერთს არა ჰრცხვენის პირისაგან პატიოსნისა და მდიდარს უპირატესობას არ მისცემს წინაშე ღარიბისა, ვინაიდგან ორივენი არიან საქმენი ხელთა მისთანი. თვალნი უფლისანი ხედვენ გზათა კაცთასა და იგი ხედავს ყოველსა საქმესა ჩვენსა. არა არს სიბრძნე, არა არს აჩრდილი სიკვდილისა, სადა შეიძლონ დამალვა უსჯულოთა. უფალი შემუსრავს ძლიერთა და მათ ადგილას დაამკვიდრებს სხვათა. თუ იგი დაიფარავს პირსა თვისსა, ვინ იხილოს იგი? ჩვენ უნდა ვრქვათ უფალს: მე დავითმინე, აწი აღარ ვცოდავ, და რაც არ უწყი, შენ, უფალო, მაუწყე მე.

შენა, სთქვი იობო: „ამაზე მეტი რაღა დამემართებოდა, კიდეც რომ შემეცოდა ღვთის წინაშე". მე გიპასუხებ შენ და შენს მეგობრებს: აღიხილენ ზეცად მიმართ და იხილნე ღრუბელნი, თუ რამოდენად მაღალ არიან შენგან. უკეთუ სცოდებ, რას უკეთებ ღმერთს? თუ შენი უსჯულოებანი გამრავლდებიან, რას ავნებ ყოვლის-მპყრობელს? თუ შენ მართალ ხარ, რას უკეთებ ღმერთს? არა წმიდება კაცისა ეკუთვნის კაცსა და სიმართლე კაცისა ეკუთვნის ძეთა კაცთასა. მაჭირვებულთაგან შესწუხდებიან უძლურნი, ხელთაგან ძლიერთაცა იმუსრებიან სუსტნი. მაგრამ ტყუილია, ვითომ უფალი არ ისმენს მათ ვედრებას, ვითომ უფალი არ ხედავდეს ამას. თუმცა შენ ვერ ხედავ უფალს, მაგრამ მსჯავრი მის წინაშე არს და ელოდე მას. უფალი არ იფარავს არა წმიდათა და სამაგიეროს მიაგებს შეწუხებულთა და ყოველთვის ალამაღლებს მათ. იგი იცავს საწყალს უბედურებისაგან და შენც გამოგიყვანდა გაჭირვებისაგან, მაგრამ შენ სავსე ხარ განსჯითა; ხოლო განსჯა და გმობა ახლოს არიან ერთმანეთზე. ეცადე, რომ ღმერთმა უარესი სასჯელი არ მოგაყენოს! დიდ არს ღმერთი ძლიერებითა თვისითა? ვინ უჩვენებს მას მის გზას, ვის შეუძლია უთხრას მას: შენ უმართლოდ იქცევი? დიდ არს უფალი და ჩვენ არ შეგვიძლია ვიხილოთ იგი; იგი ამსჯულებს ხალხთა და გვაძლევს საზრდოს საყოფად. ჩვენ უნდა გვახსოვდეს მხოლოდ ის, რათა ვადიდოთ საქმენი მისნი, რომელთაც ჩვენ ვხედავთ. დიდ არს უფალი ძალითა და მართლ-მსაჯულებითა. იგი არასოდეს არავის არ დაჩაგრავს, ამისათვის უნდა ეშინოდესთ კაცთა ღვთისა და ეკრძალებოდენ მის წინაშე ყოველნი ბრძენნი.

როცა ელიუსი დაჩუმდა, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, გაანათა ელვამ, და ქარიშხალსა და ქუხილის შორის მოისმა ხმა უფლისა ღმრთისა. უფალმა რქვა იობს: ვინ არს ესე, რომელი მიმალავს ჩემგან ზრახვათა, და არასფერი კი არ გაეგება? შეირტყენ, ვითარცა მამაკაცმან, წელნი შენნი. მე გკითხავ შენ, ხოლო შენ მომიგებდე მე: სად იყავ შენ, როცა მე დავაფუძნე ქვეყანა? მითხარი, თუ უწყი. ვინ დახშვა ზღვა ბჭითა და დაუდვა მას ღრუბელი სამოსლად მისსა; ნუ თუ შენ შეგიძლია წაართვა ნათელი არაწმიდათა და მკლავნი ამპარტავანთანი შემუსრო? შთახველ თუ არა შენ წყაროსა ზედა ზღვისასა და გამოიძიე თუ არა კვალნი უფსკრულისა? განგეხვნენ თუ არა შენ შიშით ბჭენი სიკვდილისანი, ანუ მეკარეთა ჯოჯოხეთისათა გიხილეს შენ და შეძრწუნდენ? უწყი შენ თუ არა ადგილი ნათელისა და ბნელისა? უწყი შენ თუ არა; ვინ გამოზიდა წვიმათა დინებული და ვინ დაუდვა გზა ელვასა ქუხილისასა? ნუ თუ შენ შეგიძლია გამოაჩინო ვარსკვლავნი ჟამსა შინა მისსა და უწყი თუ არა ცვალებანი ცისანი? შეგიძლია თუ არა შენ წარავლინო მეხი? შეგიძლია თუ არა ჩაუდვა კაცსა გულში სიბრძნე და მისცე აზრი და გონება? ნუ თუ შენ უმზადებ საშოვარს მხეცთა და საზრდოს ფრინველთა? ნუ თუ შენ მიანიჭე ფრინველთა ფრთები და შენი სიბრძნით ფრინვენ ისინი? როგორ შეუძლია მხილებელს ღვთისასა მიმგებლობა მისი? მომიგოს მე მხილებელმა ჩემმან!

იობმა მიუგო უფალსა: მე არა რაი ვარ და რა უნდა მოგიგო შენ? ხელთა ჩემთა დავიდებ პირსა ზედა ჩემსა.

მაშინ კვალად რქვა უფალმა იობს: შენ გსურს უგულებელს ჰყო სასჯელი ჩემი და მამხილო მე, რომ ამით შენი თავი გაიმართლო? ნუ თუ შენი მკლავი არს უფალსა ზედა? და ნუ თუ შენ შეგიძლია ალიმაღლო ხმა, როგორც ღმერთს? ხოლო მოიღე მაღალი და ძალი, ხოლო დიდებასა შინა და პატივსა შინა შეიმოსე. დაუტევე რისხვანი შენნი და ყოველივე მაგინებელნი დაამდაბლენ. შემუსრე არა წმიდანი მათსავე ადგილს. დაფარენ ისინი ქვეყანასა შინა და პირნი მათნი აღავსენ უპატივოებითა. მაშინ აღვიარებ, რომ ძალუც მარჯვენესა შენსა ცხოვრებად.

იობმა მიუგო უფალს: უწყი, რამეთუ ყოველი ძალგიც და არა რაი არს შეუძლებელ შენდა. მე ვიტყოდი მას, რაც არ უწყოდი; ეხლა მე უარსა ვყოფ და ვინანებ, ვითარცა ნაცარი მიწად.

ამის შემდეგ უფალმა განკურნა იობი წყლულებისაგან და ორ წილად მეტი მისცა მაზე, რაც წინედ ჰქონდა. მაშინ მოვიდნენ იობთან ძმანი და დანი მისნი და ყველა ნაცნობნი, ყველანი სჭამდენ მასთან და ანუგეშებდენ იობს.

უფალმა აკურთხა უკანასკნელნი დღენი იობისა უმეტესად, ვინემ პირველნი. მისი ჯოგი მსწრაფლად გამრავლდენ, ასე რომ მოკლე დროში მას ჰყავდა თოთხმეტი ათასი წვრილი ოთხ-ფეხი, ექვსი ათასი აქლემი, ათასი წყვილი ხარი და ათასი ვირი. ხელმეორედ ეშვნეს იობს შვილნი: შვიდი ძე და სამი ქალი. მთელს დედამიწაზე არ მოიპოვებოდენ ისეთნი ლამაზნი ქალნი, როგორებიც იყვნენ იობის ქალები. ამის შემდეგ იობმა იცოცხლა კიდევ ას ორმოცი წელი. მან იხილა ძენი თვისნი და ძენი ძეთა მისთანი, ვიდრე მეოთხედმდე ნათესავისა. იობი აღესრულა ღრმა მოხუცებული, სავსე დღითა.


განცხადებანი.

—

უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება» თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

## საზოგადოება რუზლავს

1., თანხას შვილებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შვილების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის სამზითვოდ.

4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა...

უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. გრუზენბერგი. პოსტის და დეპეშის ადრესი: Грузенбергу Тифлисъ.

(10—5)

---

## ცეცხლის ზიანის

მზღვეველ საზოგადოების

**«ЯКОРЬ»-ის**

აგენტი ქუთაისში

## ილია მირიანის ძე ჭყონია

იღებს საზღვევად ყოველგან ქუთაისის გუბერნიაში და სუხუმის ოლქში შენობებს, მოძრავს ქონებას და ზღვით ანუ ხმელეთით გასაგზავნს საქონელს. ადრესი: ქუთაისი, ი. მ. ჭყონია.

---

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.



რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 29 Сентября 1890 г.*

Типографія редакціи (П.Д. Гамбашидзе) Въ помѣщ. Кутаисѣ, въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.